აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 7

26 დეკემბერი 2006 წ ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ " აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

ა) უსკოს ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის 4 ტიპის, 210X297 მმ. და 11.5 გრ. თაბახის ფურცელი. ბლანკის ზევითა მარცხენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი. გერბის მარჯვნივ მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო ენაზე და ამავდროულად ინგლისურ ენაზე. გერბისა და გამომცემი ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია 5 მმ სიმაღლის ხაზი 10 სმ სიგრძის. ხაზის ქვემოთ მითითებულია ინდექსის ნომერი, გამოცემის რიცხვი თვე და წელი. ბლანკის ბოლოში, ბოლოდან 3 სმ ზევით გასმულია 18 სმ სიგრძის 0,5 მმ სიმაღლის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, როგორც სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ბლანკის უკანა მხარეს ბოლო მარჯვენა კუთხეში მითითებულია ბლანკის რიგითი ნომერი".

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2007 წლის 1 თებერვლიდან.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
უმაღლესი საარჩევნო კომისია
GEORGIA
AJARIAN AUTONOMOUS REPUBLIC
SUPREME ELECTIVE COMMISSION

№ ---------- ---------- 200 წ.

მისამართი: ქ. ბათუმი, გოგუბაშვილის ქ. №2, ტელ/ფაქსი: (888 222) 7-10-50
ADDRESS: 2 Gogebashvili st., Batumi, Tel/Fax: (888 222) 7-10-50